

Г е о р г и й  
Н и о р а д } е

(1886—1951)

Биобиблиография



Издательство «Мецниерება»

Т б и л и с и

1988

გ ი თ ზ ტ ი  
ნ ი თ ზ ა ძ ე

(1886-1951)

ბიობიბლიოგრაფია



გამომცემლობა < მეცნიერება >  
თბილისი

1988

ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ფუძემდებლის გიორგი ყაფლანის ძე ნიორაძის ბიობიბლიოგრაფია მოიცავს 1903—1987 წლების ლიტერატურას: სამეცნიერო შრომებს, რეცენზებს მათზე, სამეცნიერო-პოპულარულ, ლიტერატურულ-კრიტიკულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შრომებს და ლიტერატურას გიორგი ნიორაძის შესახებ.

მასალა განლაგებულია ქრონოლოგიურ-ანბანური რიგით. ცალკეა გამოყოფილი გ. ნიორაძის დაბადების 100 წლისთავის ამახველი მასალები. ბიობიბლიოგრაფიას წინ უძღვის გ. ნიორაძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა, აგრეთვე ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები, ერთ-ერთს პირთა და შრომების ანბანური საძიებლები.

Библиография основоположника грузинской советской археологии Георгия Каплановича Ниорадзе охватывает материалы за 1903—1987 гг.: научные труды, рецензии на них, научно-популярные, литературно-критические, общественно-политические труды и литература Г. К. Ниорадзе

Материал расположен в хронологическо-алфавитном порядке. Отдельно выделены материалы, посвященные 100-летию со дня рождения Г. К. Ниорадзе. Библиографии предпослан краткий обзор научной и общественной деятельности, после следует перечень основных дат жизни и деятельности Г. К. Ниорадзе. Прилагаются указатели: именной и трудов (алфавитный).

ბიობიბლიოგრაფიული სერიის მთავარი სარედაქციო კოლეგია: გ. ჯიბლაძე (მთ. რედაქტორი), ა. აფაქიძე, ლ. გაბუნია, ვ. გომელაური, თ. ონიანი, შ. ძიძიგური, ა. ცაგარელი, გ. ციციშვილი, მ. დარასელი, ჯ. ლომინაძე, ს. ხადური, ნ. გურგენიძე (მდივანი).

შემდგენლები: ვ. გოგილაშვილი, ე. დოლიძე

რედაქტორი: ს. ხადური

ბიბლიოგრაფიული რედაქტორი: მ. ბარკაია

Главная редакционная коллегия библиографической серии: Г. Н. Джибладзе (гл. редактор), А. М. Апакидзе, Л. К. Габуня, В. И. Гомелаури, Т. Н. Ониани, Ш. В. Дзидзигური, А. Л. Цагарели, Г. В. Цицишвили, М. К. Дараселия, Дж. Г. Ломинадзе, С. А. Хадури, Н. А. Гургенидзе (секретарь).

Составители: В. Г. Гогилაშвили, Э. Г. Долидзе

Редактор: С. А. Хадури

Библиографический редактор: М. И. Баркава







## გიორგი ნიორაძე

(სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)

გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ახალქართული არქეოლოგიის ფუძემდებელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ყაფლანის ძე ნიორაძე — პირველი ქართველი პროფესიონალი არქეოლოგი — ფართო განათლების მქონე მკვლევარი იყო, რომლის სამეცნიერო მემკვიდრეობა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. რაც დრო გადის, მით უფრო მკაფიოდ იჩენს თავს მეცნიერის შემოქმედების, მისი კვლევის უმთავრეს მიმართულებათა მრავალმხრივობა, სახელდობრ, საგანგებო ინტერესი არქეოლოგიის, ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის პრობლემემატიკისადმი.

გ. ნიორაძე დაიბადა 1886 წლის 30 ნოემბერს (12 დეკემბერს) სოფ. შროშაში (მაშინდელი შორაპნის მაზრა), გლეხის ოჯახში. მამა — ყაფლან ლევანის ძე ნიორაძე იყო კარგი მეურნე, მშრომელი, ქართველი კაცი; დედა — ანასტასია გველესიანი კეთილი, სათნო ქართველი ქალი, სიტბოსა და მზრუნველობას არ აკლებდა ოჯახს.

პირველდაწყებითი განათლება გიორგიმ ზესტაფონის „ორკლასიან ნორმალურ სასწავლებელში“ მიიღო.

1905 წლის რევოლუციამ გიორგი ნიორაძეს ზესტაფონში მოუხსწრო, სადაც ის რევოლუციური მოძრაობის უშუალო მონაწილეც გამხდარა: ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, აქტიურ მონაწილეობას იღებდა აჯანყების მოწყობაში. როგორც თვითონ იგონებდა მოგვიანებით, როდესაც ზესტაფონის თეატრში ასამართლებდნენ რეაქციონერებს, გ. ნიორაძე ბოქაულის, მემამულე სებისკვერაძის წინააღმდეგ გამოვიდა, ამხილა რა იგი პროვოკაციაში. მას შემდეგ, რაც ალიხანოვ-ავარსკიმ გადაწვა ზესტაფონი, ხოლო რეაქციამ გაიმარჯვა, გ. ნიორაძე იძულებული იყო დაეტოვებინა ზესტაფონი და ჩასულიყო თბილისში. 20 წლის ქაბუკი თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში აგრძელებს სწავლას, რომელსაც ამთავრებს 1910 წელს. ინსტიტუტში ყოფნის დროს პარალელურად ასწავლიდა ე. წ. „საკვი-

რაო სკოლაში. გ. ნიორაძე ამ პერიოდში დაახლოებული იყო მუშა-  
თა წრეებთან. ფართო პროპაგანდისტულ-საგანმანათლებლო მუშაო-  
ბას ეწეოდა მათში. ჩანს, ახალგაზრდა ინტელიგენტის რევოლუციური  
მოღვაწეობა არ დარჩენია შეუნიშნავი მეფის „ოხრანკას“, რომლის  
მითითებითაც თბილისის უნივერსიტეტის, ჯერ კიდევ 1909 წელს, საფუ-  
ძვლიანად გაუჩხრეკია გ. ნიორაძის ბინა, სადაც ცარიზმის საწინააღ-  
მდეგო ლიტერატურა უნახავს. ამის გამო იგი დაუპატიმრებიანთ კიდევ.

გ. ნიორაძე 1910 წლის შემოდგომიდან 1917 წლის ზაფხულამდე  
ქუთაისში მუშაობდა პედაგოგად. იმავე ხანებში ძალიან ხშირი სტუ-  
მარი ყოფილა იქაური სახალხო უნივერსიტეტისა, სადაც ოფიციალუ-  
რი პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად სისტემატურად კით-  
ხულობდა ლექციებს, ასწავლიდა მუშებისათვის მოწყობილ საღამოს  
კურსებზე. მას ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ ბევრი ლექცია ჩაუ-  
ტარებია ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ჭიათურასა და საქართველოს  
სხვა ქალაქებშიც. გ. ნიორაძე ამავე დროს ლექციებს უკითხავდა ქუ-  
თაისისა და ბათუმის რაიონებიდან გადასამზადებლად მოვლინებულ  
მასწავლებლებსაც. დიდი გულმოდგინებით ეკიდებოდა ქართველი  
ახალგაზრდობის განათლების საქმეს, პირნათლად ასრულებდა სიტყ-  
ვას, რომელიც მას იაკობ გოგებაშვილის გამოსათხოვარ მიტინგზე წარ-  
მოუთქვამს 1912 წ. ქ. თბილისში, ვერის დაღმართთან (ქრ. „იაკობ  
გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913, გვ. 282). საგულისხმოა, რომ  
1916 წ. გაზ. „სამშობლო“ (მარტი) აქვეყნებს განცხადებებს საქველ-  
მოქმედო მიზნით მის მიერ წაკითხული ლექციების შესახებ. იმავე  
წლის 29 მარტს „სამშობლო“ იუწყებოდა: „... 12 საათზე პარასკევს  
25 მარტს ქუთაისში ქალაქის თეატრში გაიმართა საიუბილეო დღესას-  
წაული (რომელიც მიეძღვნა შიო მღვიმელის 30 წლის მოღვაწეობას).  
პირველად გიორგი ნიორაძემ მიმართა იუბილარს მგრძნობიარე სიტ-  
ყვით...“ (ეს სიტყვა გამოქვეყნდა გაზ. „სამშობლოს“ 1916 წ. 27 მარ-  
ტის ნომერში).

უდიდესი იყო მწუხარება, რაც განიცადა ქართველმა ხალხმა აკაკი  
წერეთლის გარდაცვალების გამო. გ. ნიორაძე 1915 წ. 6 თებერვალს  
გაზ. „სამშობლოში“ აქვეყნებს ვრცელ წერილს, რომლის ყოველ  
სტრიქონში აუნაზღაურებელი დანაკლისით გამოწვეული გულსტკი-  
ვილი და მთელი ერის ფიქრია გამოხატული. მის გამოსათხოვარ სიტ-  
ყვას „ერის მესაიდუმლე“, რომელიც გ. ნიორაძეს აკაკის ცხედართან  
წარმოუთქვამს შორაპანში, მთლიანად ბეჭდავს გაზ. „სამშობლო“,  
1915 წ. 21 თებერვალს.

1903 წლიდან მოყოლებული გ. ნიორაძე გაზეთებში: „ივერია“,  
„ერი“, „კოლხიდა“, „Кутаисские вести“, აქვეყნებდა წერილებს  
ფსევდონიმებით „შროშელი გიგო“, „გ. ძირულისპირელი“ და

„Hiopa“. აღსანიშნავია 1912—1915 წლებში მის მიერ გამოქვეყნებული სტატიები თუ ნარკვევები თბილისსა და ქუთაისში: „აკობ გოგებაშვილი“, „აკობ გოგებაშვილის იდეალები სწავლა-აღზრდაზე“, „იან ჰუსი“, „აკაკის პოეზიის ესთეტიკურ-აღმზრდელი მნიშვნელობა“, „პედაგოგიური წერილები“, „შოა მღვიმელი“ და სხვ., რომლებშიაც შეფასება პოვა მრავალი ქართველი, რუსი და უცხოელი მწერლისა და პედაგოგის მოღვაწის შემოქმედებითა საქმიანობამ.

1917 წ. გ. ნიორაძე მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების სტუდენტი გახდა — ანთროპოლოგიის სპეციალობით. თითქმის მთელი სამოქალაქო ომის მანძილზე, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთი მასწავლებელთა დიდ ნაკლებობას განიცდიდა, გ. ნიორაძე უმაღლესში სწავლასთან ერთად ქ. მოსკოვის 113-ე შრომის სკოლაში მასწავლებლად მუშაობდა. მთელი იმ ხნის განმავლობაში შრომა და სწავლა შეადგენდა მისი ცხოვრების მთავარ აზრსა და მოწოდებას; 1918 წ. ქ. მოსკოვის შუშათა დეპუტატების საქალაქო საბჭომ მისი სახელი ქალაქის საუკეთესო მასწავლებელთა სიაში შეიტანა.

გ. ნიორაძე მოსკოვში ქართული სამეცნიერო საზოგადოების აქტიური წევრი ყოფილა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კაბინეტში ინახება გ. ნიორაძის ხელთ დაწერილი მისალოცი წერილი, რომელიც ქართველმა სამეცნიერო საზოგადოებამ გამოუგზავნა 1918 წ. 7 ივლისს თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლებს. წერილს ხელს აწერენ ქართული სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე გ. ლამბარაშვილი და მდივანი გ. ნიორაძე. 1919 წ., როდესაც ქართველთა სამეცნიერო საზოგადოებამ მოსკოვის უნივერსიტეტში გამართა აკაკი წერეთლის ხსოვნისადმი მიძღვნილი სელამო, პირველად ქართულ ენაზე აკაკის შესახებ შესავალი სიტყვა და ლექცია თემაზე „ადამიანის წარმოშობა და მისი წინაპრები“ წაიკითხა გიორგი ნიორაძემ.

1921 წელს გ. ნიორაძემ გამოჩენილი რევოლუციონერის მიხა ცხაკაიას რჩევით დააარსა „ქართველების ახალი საბჭოთა კოლონია“ — სათვისტომო ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობისა, შეუდგინა მას წესდება და დროგამოშვებით ლექციებსაც უკითხავდა ქართველ ახალგაზრდობას.

გ. ნიორაძის მეცნიერული აზროვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს ცნობილმა პროფესორებმა — ვ. ბუნაკმა და დ. ანუჩინმა. 1919 წელს გ. ნიორაძე ვ. ბუნაკის ხელმძღვანელობით ატარებს მოსკოველი მოსწავლეებისა და ქალაქის მოსახლეობის ზოჯიერთი სხვა ფენის წარმომადგენელთა ანთროპოლოგიურ გამოკვლევას, ხოლო 1920—22 წლებში პროფესორების დ. ანუჩინისა და

ბ. უუკოვის ხელმძღვანელობით — არქეოლოგიურ გათხრებს მოსკოვის მიდამოებში. რამაც გარკვეული როლი ითამაშა მის არქეოლოგად ჩამოყალიბებაში.

1921 წ. გ. ნიორაძე ამთავრებს მოსკოვის უნივერსიტეტს და მას ტოვებენ იმავე უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის კათედრაზე პროფესორობისათვის მოსამზადებლად.

1922 წ. გ. ნიორაძე თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერი ზუშუკია. იმავე წელს იგი აირჩიეს მოსკოვის საბუნებისმეტყველო საზოგადოების წევრად. 1922 წ. გ. ნიორაძე იგზავნება სამეცნიერო მიჯიღებით საზღვარგარეთ — გერმანიაში. იგი ერთხანს მუშაობს ბერლინის უნივერსიტეტში პროფ. ფელიქს ფონ ლუშანის ხელმძღვანელობით. პროფ. ლუშანის გარდაცვალების შემდეგ, 1924 წლის მაისიდან. გ. ნიორაძე გადადის ჰამბურგის უნივერსიტეტში, სადაც აგრძელებს სწავლას პროფ. ტილენიუსის ხელმძღვანელობით. აქ ის ცნობილი გერმანელი მეცნიერების პროფესორების — ფრიდენტალის; რაუტის, სესსორას, შმიდტის, რეპეს, დანცელის, გიურბის, დეიხნერის, ლომანის და სხვ. — სპეციალურ კურსებს ისმენდა. ჰამბურგის სკოლის სამეცნიერო მიმართულებამ, რომელიც დასავლეთში კულტურული ანთროპოლოგიის სახელით არის ცნობილი (ჩვენში ეთნოგრაფია. არქეოლოგია და ანთროპოლოგია), ჩანს, განსაზღვრა. გ. ნიორაძის მოღვაწეობის მომავალი, ძირითადი მიმართულება.

1923 წელს, ჯერ კიდევ გერმანიაში მოღვაწეობის დროს, გ. ნიორაძე არჩეულ იქნა ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიისა და წინარეისტორიის ბერლინის საზოგადოების ნამდვილ წევრად, რომლის მუშაობაში იგი აქტიურად მონაწილეობდა სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც. იმავე წელს გ. ნიორაძემ მონაწილეობა მიიღო ანთროპოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე ქ. ტიუბინგენში, სადაც წაიკითხა მოხსენება: „რუსული ანთროპოლოგია და მისი განვითარება“. ეს დამადასტურებელია იმისა. რომ მაშინდელ საბჭოთა რუსეთში მოღვაწე თვალსაჩინო სპეციალისტებმა (დ. ნ. ანუჩინი, ვ. ვ. ბუნაჟი და სხვ.) გ. ნიორაძე საკვებით მომზადებულ სპეციალისტად მიიჩნიეს. ამავე კონგრესზე გ. ნიორაძემ მეორე მოხსენებაც გააკეთა „კავკასიური რასის“ სახელწოდების თაობაზე. ტიუბინგენის კონგრესის შესახებ გ. ნიორაძე 1923 წ. 15 აგვისტოს პროფ. ი. ჯავახიშვილს წერდა: „... კონგრესის თავმჯდომარემ ვირხოვმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ჩემი მოხსენების შესახებ, მადლობა გამომიცხადა და გამოთქვა სურვილი, რომ გერმანელ მეცნიერებთან ერთად მჭიდრო კავშირს დავიკავებთ და მათთან ერთად ვიმუშავებთ...“.

1923 წ. გ. ნიორაძეს გარდაცვლილი მასწავლებლის დ. ანუჩინის ზოსასწავლად დაუწერია წერილი „Anutschins Leben und Wirken“

(„ანჟინის ცხოვრება და მოღვაწეობა“), რომელიც ჟურნალ „Zeitschrift für Ethnologie“-ის იმავე წლის ნაკვეთში დაიბეჭდა. ამით მადლიერ მოწაფეს გარკვეულწილად ვალი მოუხდია თავისი მასწავლებლის წინაშე. იმავე წელს გ. ნიორაძე ბერლინში აქვეყნებს მონოგრაფიას მთის ოსებისა და მათი ქვეყნის შესახებ. გ. ნიორაძე სისტემატურად მუშაობდა ბერლინისა და ჰამბურგის მუზეუმებში და მონაწილეობდა არქეოლოგიურ გათხრებში პროფ. მაქს შმიდტის ხელმძღვანელობით.

1924 წ. გ. ნიორაძე ჰამბურგის უნივერსიტეტში წარმატებით აბარებს სადოქტორო გამოცდებს და იცავს დისერტაციას თემაზე: „Der Schamanismus bei den sibirischen Völkern“ („შამანიზმი ციმბირის ხალხებში“), რომელიც მომდევნო წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა ქ. შტუტგარდტში. ჰამბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის მიერ გ. ნიორაძის სახელზე 1924 წელს გაცემულ დოკუმენტში წერია:

„იურისპრუდენციისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მეცნიერების დოქტორის, სამართლის ორდინარული, საზოგადოებრივი პროფესორის, რუდოლფ ლაუნის რექტორობის ხანაში და ფილოსოფიის დოქტორის, ინდოეთის კულტურისა და ისტორიის ორდინარული, საზოგადოებრივი პროფესორის ვალტერ შუბრინგის დეკანობის პერიოდში, ფილოსოფიის ფაკულტეტმა.

ქართველ ბატონ გიორგი ნიორაძეს,

1924 წლის 1 ნოემბერს, დაიცვა რა თავისი ფრიად საქები ნაშრომში „შამანიზმი ციმბირის ხალხებში“, მისცა მოწმობა, დამადასტურებელი ჩინებული მეცნიერული ნიჭიერებისა და განათლებისა და მიანიჭა ფილოსოფიის დოქტორის წოდება, რის დასტურადაც გაიცა ეს დოკუმენტი ფაკულტეტის ბეჭდვადსა და დეკანის მიერ ხელმოწერილი.

ჰამბურგი, 15 ნოემბერი, 1924 წ.

დეკანი შუბრინგი“.

გერმანიაში გ. ნიორაძის ყოფნის დრო იყო არა მარტო მეცნიერების ღრმად დაუფლების. არამედ გაჭირვებისა და სიღარიბის წლებიც. ამაზე ნათლად მეტყველებენ ივ. ჯავახიშვილის არქივში დაცული წერილები, რომლებსაც გ. ნიორაძე სისტემატურად უგზავნიდა მას გერმანიიდან. წერილები დაცულია აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებულ ივ. ჯავახიშვილის არქივში, ფონდი № 2095—2097, № 2100—2104. ბოლო წლების წერილებიდან ირკვევა, რომ გ. ნიორაძე, მიუხედავად დიდი სურვილისა, უსახსრობის გამო ვერ ახერხებდა სამშობლოში დაბრუნებას. ივ. ჯავახიშვილი დახ-

მარების ხელს უწყდის გ. ნოორაძეს. საქართველოს სახელმწიფო მუ-  
ზეუმი უკზავნის გარკვეულ თანხას უკან გამოსაბრუნებლად და 1925  
წლის 7 მაისის წერილში ატყობინებს... „რაც უფრო მალე გამო-  
ემგზავრებით სამშობლოში, მით უკეთესია ჩ ვ ე თ ვ ი ს“.

„დიდად პატრუცემულო ბ-ნო ივანე! — სწერს გ. ნოორაძე ივ. ჯა-  
ვახიშვილს ბერლინიდან 1925 წლის 14 მაისს (ფ. № 2103). — გუ-  
შინ, 13 მაისს. მივიღე საქართველოს მუზეუმიდან თქვენს თაოსნო-  
ბით გამოგზავნილი 150 (ასორმოცდაათი) დოლარი, რის შესახებ  
თქვენს წინაშე ჩემს მიერ შედგომის თქმა ერთ გამოუხატავს სიძ-  
ნელეს წარმოადგენს. გეტყვით მხოლოდ, რომ კეთილი საქმენი სამუ-  
დამოდ და ღრმად რჩებიან ჩემს გულში, მიორკეცებენ ენერგიას და  
იმეღს სამშობლოს წმინდა შრომისათვის.

ებლა. ბ-ნო ივანე, ჩადგანაც სამშობლოში დაბრუნების საშუა-  
ლება მომეცა. უეჭველად ამ თვის ბოლო რიცხვებში გამოვემგზავრები  
ბერლინიდან საქართველოში.

ჩემს წიგნსაც მგონია ამ დროისათვის უკვე მივიღებ. სწორედ  
დღეს მივიღე გამოცემლისაგან ჩემს წერილზე პასუხი, საიდანაც  
სჩანს, რომ საქმე მალე უნდა მოთავდეს — თქვენი ბედნიერი ცხოვ-  
რების და ყოველრე კარგის მოსურნე გიორგი ნოორაძე.

მარლაჯ. 1925 წლის ზაფხულში გ. ნოორაძე საქარ-  
თველოში ბრუნდბა და იწყება მისი მოღვაწიობის ახალი ეტაპი.

გიორგი ნოორაძემ დაიწყო არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქარ-  
თველოში იმ დროს, როდესაც ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ  
ვთქვათ, „... ჩვენში არ არსებობდა დაწესებულება, რომელსაც საქარ-  
თველოს მიწა-წყლის მუღმევი, მეთოდური არქეოლოგიური შესწავლა  
დაკისრებოდა. იმხანად არც ცალკეული მეცნიერი მოიპოვებოდა,  
რომელსაც მიზნად იმ მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ფაქტებისა  
და ძეგლების სპეციალური, მთელი სივრცე-სიღრმით შესწავლა მაინც  
დაესახოს. რომლებიც საქართველოს და მეზობელი რესპუბლიკების  
მუზეუმებში. გათხრილობისა და შეგროვების წყალობით, საკმაო  
რიცხვით და მრავალფეროვნებით იყო თავმოყრილი“. ი. ი. არქეო-  
ლოგია, ვითარცა თავისი საკუთარი მეთოდების მქონე მეცნიერობ-  
ს დარგი, საქართველოში არ არსებობდა, როდესაც მოსკოვისა და შემ-  
დეგ ჰამბურგის უნივერსიტეტების კურსდამთავრებული პროფ. დ. ანუ-  
ჩინის, პროფ. ფ. ლუშანის და პროფ. ტილენიუსის მიერ გამოზრდილი  
მეცნიერი დაბრუნდა თავის სამშობლოში და ივ. ჯავახიშვილის შუა-  
მდგომლობითა და წარდგინებით 1925 წელს არჩეული იქნა საქარ-  
თველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის გან-  
ყოფილების ხელმძღვანელად.

რ. ჯავახიშვილის რეკომენდაცია ასეთი სიტყვებით მთავრდება: „... ვითარცა მცოდნეს და სამუხეუმო ტექნიკაში განსწავლულს, ენერჯიულ პიროვნებას, მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ნეცნიერებისათვის“.

ამრიგად, რ. ჯავახიშვილმა მისცა დასაბამი სპეციალისტი არქეოლოგის, ჰამბურგის უნივერსიტეტის დოქტორის გიორგი ყაფლანის ძე ნიორაძის მოღვაწეობას საქართველოს არქეოლოგიაში. რ. ჯავახიშვილის იმედი გამართლდა. გ. ნიორაძემ. მართლაც, დიდი სარგებლობა მოუტანა ქართულ მეცნიერებას. მას ნამდვილ მეცნიერულ დონეზე აყავს ჩვენში ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი უაღრესად ეროვნული და იმავე დროს საკაცობრიო ცივილიზაციის ისტორიის თვალსაზრისითაც უაღრესად მნიშვნელოვანი დარგი — საქართველოს არქეოლოგია. საქართველოს მუზეუმში ფართოდ წამოწყებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებებს გასწორს კვალდაკვალ გ. ნიორაძე 1926 წლიდან შეუდგა პედაგოგიურ მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ის გვერდით ამოუდგა ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით უნივერსიტეტში მოღვაწე პროფესორის უფროს თაობას.

1933 წ. გ. ნიორაძეს მიენიჭა პორტესორის წოდება. იგი იყო პირველი ქართველი პროფესორი-არქეოლოგი. უნივერსიტეტში გ. ნიორაძე ზრდიდა ვიწრო სპეციალობის არქეოლოგებს, რომელთაც უნდა შეეცვალათ „არქეოლოგიის მოყვარულები“ (მათ შორის ცოტა როდი იყო უცხოელი, ქართული ენის, ქართველთა ცხოვრების, საქართველოს წარსულის არმცოდნენი). 1934 წელს გ. ნიორაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა არქეოლოგიის კათედრა, რომელსაც უცვლელად განაგებდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

1940 წელს გ. ნიორაძე შევიდა საკ. კ. პ. (ბ) რეგებში. 1935—39 წწ. იგი თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს დეპუტატი და კულტკომისიის თავმჯდომარე იყო. ირიცხებოდა აგრეთვე პარტიის პრილისის კომიტეტის შტატგარეშე ლექტორად.

1935 წელს გ. ნიორაძეს მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. იმავე წელს საქართველოს სსრ განსახკომის რესპუბლიკური საკვალეფიკაციო კომისიის მიერ დამტკიცებული იყო არქეოლოგიის დოქტორად და დაინიშნა საქართველოს არქეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. 1936 წლიდან, როდესაც ეს ინსტიტუტი შეუერთდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ნ. მარის სახ. ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტს, გ. ნიორაძე ზღვამძღვანელობდა ამ ინსტიტუტის არქეოლოგიის, ანთროპოლოგიის



სა და ეთნოგრაფიის სექტორს. ასე ჩაეყარა საძიარველი ქართულ-მცოდნეობის დიდად მნიშვნელოვან დარგს — ქართულ საბჭოთა არქეოლოგიას, რომლის დადგენა-განვითარებას ემსახურებოდა მისი ფუძემდებელი პროფ. გ. ნიორაძე მეოთხედი საუკუნის მანძილზე — 1925 წლიდან 1951 წლის 10 დეკემბრამდე.

ახალი საბჭოთა არქეოლოგიის დაფუძნების პირველ საფეხურზე გამოიკვეთა საისტორიო მეცნიერების ამ დარგის განვითარების სამი უმნიშვნელოვანესი მიმართულება: საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება (არქეოლოგიური გათხრები და დაზვერვები), მონაპოვართა მეცნიერულ-ლაბორატორიული ანალიზი-პუბლიკაცია, არქეოლოგთა ახალგაზრდა კადრების გამოზრდა.

გ. ნიორაძის მიერ სანიმუშოდ დაყენებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დიდი მეცნიერული ერუდიციით, მასალის ღრმა ცოდნით დაწერილმა ნაკვლევებმა და ყოველმხრივ აწონილ-დაწონილმა დასკვნებმა მათ ავტორს ფართოდ გაუთქვეს სახელი ჩვენს ქვეყანაშიაც და მის გარეთაც.

გ. ნიორაძის არქეოლოგიური გამოკვლევები მოიცავს დიდ ქრონოლოგიური დიაპაზონის ძეგლებს ქვის ხანის მღვიმე-საცხოვრისებიდან ფეოდალურ ხანამდე. მისი ეთნოლოგიურ-ანთროპოლოგიური გამოკვლევები ეძღვნება ქართველთა, ოსთა, კავკასიის თუ ციმბირის ხალხთა ყოფას, რელიგიას, საზოგადოდ კულტის სამყაროსა და ისტორიის საკითხებს. გ. ნიორაძის მეცნიერული კვლევის მეთოდებისათვის დამახასიათებელია არქეოლოგიური მასალის შესწავლისას ეთნოგრაფიული და ანთროპოლოგიური მონაცემების ფართოდ მოშველიება. იგი ყოველთვის ცდილობდა ეთნოგრაფიული, ანთროპოლოგიური და არქეოლოგიური მონაცემების კომპლექსურ განხილვას.

ამის მაგალითს წარმოადგენს პროფ. გ. ნიორაძის ნაშრომები: „მთის ოსები და მათი ქვეყანა“, „დაკრძალვა და მიცვალებულის კულტი ხევსურებთან“, „კარსნის ხევის სასაფლაო“, „ზემოავჭალის სამარე“, „ქვემო სასირეთის განძი“, „ალაზნის ველის გათხრები“, „არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში“, „არქეოლოგიური დაზვერვებო მტკვრის ხეობაში“, „დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურებანი“, „ქვის ხანის ადამიანი საქაყიას გამოქვაბულში“ და სხვ.

გ. ნიორაძის ანთროპოლოგიური გამოკვლევები ენებოდნენ თანამედროვე ანთროპოლოგიის ყველა ძირითად სფეროს: ანთროპოგენეზს, ეთნიკურ ანთროპოლოგიას, მორფოლოგიას და პალეოანთროპოლოგიას, ეთნოგრაფიული მასალა კი წარმოადგენდა მისი არქეოლოგიური კვლევის ფონსა და რეალურ საყრდენს. ამოსავალს, დასკვნების შემუშავების ან შემოწმების საშუალებას; ამიტომაც ბუ-

ნებრივია, რომ მისი პირველი, საფუძვლიანი გამოკვლევები სწორედ ეთნოგრაფიულია.

ჯერ კიდევ გერმანიაში ყოფნისას გამოაქვეყნა მან სადოქტორო ნაშრომი „Der Schamanismus bei den sibirischen Völkern“ („შამანიზმი ციმბირის ხალხებში“, 1923), „Die Berg-Ossen und ihr Land“ („მთის ოსები და მათი ქვეყანა“, 1923), ხოლო შემდეგ სქელტანიანი გამოკვლევა „Begräbnis und Totenkultus bei den Chewssuren“ („დაკრძალვა და მიცვალებულის კულტი ხევსურებში“, 1935).

ნაშრომს „შამანიზმი ციმბირის ხალხებში“ მაღალი შეფასება მისცეს: ტილენიუსმა, მაინჰოფმა, შმიდტმა, პოპპემ, ნიეუვენჰუისმა, ჰამბრუხმა, ნიპპენმა, ხრისტიანმა, ელეონსკიამ და სხვ., რომლებმაც რუსულ, ფრანგულ, გერმანულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოაქვეყნეს თავიანთი რეცენზიები: „გიორგი ნიორაძის წიგნმა მნიშვნელოვანი ნაკლი შეავსო ეთნოლოგიურ ლიტერატურაში... წერს ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი მაქს შმიდტი,... მან თავისი მდიდარი ცოდნის საფუძველზე შეძლო ძნელი შრომის შესრულება და მრავალმხრივი, თემასთან დაკავშირებული ეთნოლოგიური და ფსიქოლოგიური პრობლემების ფართოდ ახსნა. რის გამოც, დამსახურებული ყურადღება ჰიბპურო“. ნაშრომი „შამანიზმი ციმბირის ხალხებში“ ვრცლად აისახა—„Reallexikon der Vorgeschichte“-ში და წიგნში „Мифы народов мира“—როგორც სახელმძღვანელო წყარო. არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ფოლკლორის ურთიერთშეჭერების საინტერესო ნიშნულს წარმოადგენს აგრეთვე გ. ნიორაძის ნაშრომი „საკულტო დანიშნულების რკინის ფეხსაცმელი“. მომდევნო თაობის სპეციალისტები, ვინც იკვლევს რელიგიის, მითოსს, კოსმოგონიის, სიმბოლიკის, და ა. შ. საკითხებს, დიდად არიან დავალებულნი გ. ნიორაძისაგან, რომელმაც შექმნა არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალების ურთიერთშეჭერებული კვლევის დიდად სასარგებლო ტრადიცია.

როგორც ახალი არქეოლოგიური აღმოჩენებითა და გამოკვლევებით ჩანს, გ. ნიორაძე სავსებით მართალი იყო, როდესაც სამხრეთ კავკასიის, მათ შორის საქართველოს გვიანდელი პალეოლითის თავისებურებანი პირველმა შენიშნა და აღნიშნა. რომ საზოგადოდ ზედაპალეოლითი, კერძოდ კი მისი ცალკეული საფეხურები, არ იმეორებს კლასიკურ-ევროპულს; ამიერკავკასიის ორინიაკი. მაგალითად, არ იმეორებს კლასიკურ ფრანგულს; აქ არ ჩანს ე. წ. სელეტური, არც სოლუტრეული და არც მადლენური კულტურების კლასიკური სახის ნამოსახლარები. სავსებით მართალი აღმოჩნდა გ. ნიორაძე. როდესაც ადგენდა ბევრ საერთოს კაუის ხელსაწყო-იარაღების ნაირსახეობასა და კეთების ტექნიკაში და დაადასტურა, რომ აღმოჩენილი პალეოლი-

თური ნამოსახლარები რეგიონული სახეობებია; რომლებიც ევროპულსა და აფრიკულ-ხმელეთაშუაზღვურ; ახლო აღმოსავლურ (სირიულ, ერაყულ) სინქრონულ კულტურებთან კონტაქტებისა თუ ნათესაობის გარეშე არ ჩამოყალიბებულა. განვითარების ამ გზის მეცნიერული გამოკვლევა და დადგენა კავკასიის არქეოლოგიაში გ. ნიორაძის სახელთან არის დაკავშირებული.

ქვის ხანის ძეგლების გათხრისა და კვლევის კარგად წამოწყებულ გიორგი ნიორაძისეულ გეზს მოჰყვა კავკასიის პალეოლითის პერიოდიზაცია. დასახლების სახისა და ტიპების გამოკვლევა-დადგენა: დიდი პროვინციები აღრინდელი პალეოლითისათვის. უფრო კომპაქტური — ხევებად ან ხევის სოფლებად დასახლება — გვიანდელი პალეოლითისათვის, რამაც შემოინახა თავი საქართველოს ისტორიის თითქმის მთელ სიგრძეზე.

კულტურის ისტორიის თვალსაზრისით პრინციპულად ახალი იყო მიკვლევა ისრისპირისა ზედაპალეოლითში, გ. ნიორაძისეული თვალსაზრისი მშვილდ-ისრის გამოყენებისა ჯერ კიდევ ზედაპალეოლითის საფეხურზე და არა მხოლოდ მეზოლითში, როგორც ადრე ივარაუდებოდა, ეს აღმოჩენა იმ რიგის არქეოლოგიურ ფაქტებს მიიკუთვნება, რომლებიც წარმატებით გამოიყენება ზოგადსაკაცობრიო კულტურის ისტორიის კვლევისას.

საკაცობრიო ცივილიზაციის უძველესი მონაკვეთის წარმატებული კვლევა მნიშვნელოვნად შეაპირობა გ. ნიორაძის საგანგებო დაინტერესებამ ძველი ქვის ხანის ძეგლებით, მღვიმე-საცხოვრისთა გათხრებით. რასაც მან საფუძველი ჩაუყარა 1926—29 წლებში, როდესაც სადგურ ლაშესთან (ხარაგოულის რაიონი), ხანდების კლდეში გათხარა მღვიმე-საცხოვრისი — დევისხვერელი.

გ. ნიორაძემ პირველმა შეძლო მოეპოვებინა დიდძალი პალეოლითური მასალა და სათანადო მეცნიერული ანალიზის შემდეგ გამოაქვეყნა მონოგრაფიული ნაშრომი ქვის ხანის ადამიანის არსებობის შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე: ნაშრომი „პალეოლითის ადამიანი დევისხვერელში“ (1933) პირველი მონოგრაფია იყო პალეოლითის შესახებ მთლიანად კავკასიისათვის. ამ ნაშრომში გ. ნიორაძემ მეცნიერულად დაასაბუთა. დაადგინა ძველი ქვის ხანის დროის ადამიანის არსებობა საქართველოს ტერიტორიაზე და დამაჯერებლად გადასინჯა საკმარისად გავრცელებული და. შეიძლება ითქვას. მრღებელი თვალსაზრისი, რომლის თანახმად საქართველო და კავკასია ბრინჯაოს ხანამდე უკაცურ. დაუსახლებელ მხარეს წარმოადგენდა. ნაშრომმა სათანადო გამოხმაურება პოვა როგორც ჩვენს, ისე უცხოეთის არქეოლოგიურ ლიტერატურაში. 1932 წელს გ. ნიორაძე კვლევის შედეგებს აცნობს დედამიწის მეოთხეული ხანის შემსწავლელ ევრო-

პის ასოციაციის II საერთაშორისო კონფერენციას ქ. ლენინგრადში, უფრო მოგვიანებით, 1936—37 წწ. გ. ნიორაძემ გათხარა საკაჟიას მღვიმე, რომელსაც მიუძღვნა მონოგრაფია — „ქვის ხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში“ (1953). გ. ნიორაძის მიერ გამოკვლეული ეს ორევე ძეგლი — „დევისხერელი“ და „საკაჟია“ — შესულია უმძლესი და საშუალო სკოლების ისტორიის სახელმძღვანელოებში. მის სახელთანაა დაკავშირებული აგრეთვე საქართველოს ძველი ქვეს ხანის ძეგლების თხრისას მიკვლეული პალეობოტანიკური და პალეოზოოლოგიური ნაშთების გამოყენება მეოთხეული ფლორისა და ფაუნის სახეების დასადგენად. მან საფუძველი ჩაუყარა საბუნებისმეტყველო დისციპლინების მიღწევების გამოყენების საქმეს საქართველოს პალეოლითმცოდნეობაში.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გ. ნიორაძის გამოკვლევებს ქართლის ძველი დედაქალაქის — მცხეთის — არქეოლოგიური ისტორიისათვის. კარსნისხევის შესართავთან მის მიერ წამოწყებული გათხრებით ჩაეყარა საფუძველი „დიდი მცხეთის“ არქეოლოგიური კვლევის საბჭოურ ეტაპს. ამ გათხრებს, დაკავშირებულს ზაპეიას მშენებლობასთან, მიუძღვნა ნაშრომი „კარსნისხევის სასაფლაო“ (1926). შემდგომი გ. ნიორაძე თხრიდა გვიანანტიკური ხანის სამარხებს წიწაჟურის ველზე, სამაროვანს ზემოავჭალაში და ხელმძღვანელობდა მცხეთის არქეოლოგიური შესწავლისათვის შექმნილ ჯგუფს 1937 წელს. მცხეთის დასავლეთით, არმაზისხევის შესართავთან 1938 წელს, ზაფხულში განახლებულ გათხრებს საერთო ხელმძღვანელობას პროფ. ს. ჯანაშიასთან ერთად პროფ. გ. ნიორაძე უწევდა. 1938 წლიდან გ. ნიორაძე იყო აგრეთვე მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელობა-კონსულტაციისათვის შექმნილ სწავლულ ექსპერტთა კომისიის წევრი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ივ. ჯავახიშვილი (თავმჯდომარე), ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი. „დიდი მცხეთისადმი“ მიძღვნილ ნაშრომთა შორის დაუცხრომელი ინტერესით სარგებლობს 1931 წელს გამოქვეყნებული „ზემოავჭალის სამარე“. ნაშრომმა ყურადღება მიაქცია ისტორიის საკითხებისადმი ახლებური მიდგომით. უნაკლოდ, უნდა ითქვას, სინიმუზოდ გათხრილი სამარხის მეცნიერული ანალიზი საფუძველს აღლევდა გ. ნიორაძეს დაედასტურებინა, რომ სამთავროს და ზემოავჭალის, ე. ი. მდ. არაგვის მარჯვენა და მარცხენა ნაპირებს არქეოლოგიური ძეგლები ეკუთვნის ერთსა და იმავე ხალხს, ისინი ერთდროულია და ერთი და იმავე კულტურისაა. ძეგლთა შედარებითმა კვლევამ შექმნა შესაძლებლობა არსებითად გადასინჯულიყო და მეცნიერულად უარყოფილიყო სამარხთა აღნაგობისა (ე. წ. გუმბათოვანი სამარხები) და თითქოს იქ გავრცელებული ანთროპოფაგიის შესახებ

ფრ. ბაიერნის ნაშრომებით მსოფლიოს მოდებული და საკმაოდ ფესვგადგმული სენსაციური ინფორმაცია. გ. ნიორაძემ საფუძვლიანად უარყო ფრ. ბაიერნის „თეორიები“ და გათხრის მეცნიერულად დახვეწილი მეთოდები დაუპირისპირა განძისმაძიებლურ ჩიჩქნას. ეს იყო მკაფიო მაჩვენებელი ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ფუძემდებლის საველე გათხრითი მუშაობის მეთოდის დახვეწილობისა და მონაპოვრის ისტორიული გააზრების, ანალიზის ღრმა მეცნიერული დონისა. სწორედ ამის გამო იყო, რომ რეცენზიაში ნაშრომზე „ზემოავექალის სამარე“ გერმანელი მეცნიერი პ. ფინდაიზენი აღნიშნავდა: „... ქართულ მეცნიერებას გ. ნიორაძის სახით ჰყავს ბრწყინვალე მკვლევარი ეთნოგრაფიისა და პრეისტორიის დარგში“. რეცენზენტი მოითხოვდა ნაშრომის მთლიანად თარგმნას უცხოურ ენაზე.

პირველად გ. ნიორაძემ ცადა დაესაბუთებინა ადგილობრივი წარმოშობა და განვითარება მის მიერ აღმოჩენილი „ბოლოკვეთილი მახვილსა“ და საზოგადოდ, ბრინჯაოს კულტურისა, რომელსაც ეტყობა მცირე აზიისა და ეგეოსის ზღვის ქვეყნების ადრე დაწინაურებულ კულტურათა გავლენა. ამ რიგის საკითხთა განხილვისას ავტორს მოუხბდა საუბარი რკინის ხანის დასაწყისი საფეხურის ქრონოლოგიურ განსაზღვრაზე.

გიორგი ნიორაძემ რკინის დამუშავების საწყისი საქართველოში ძვ. წ. XIV—XIII სს. დაუკავშირა. შემდგომმა გათხრებმა, ბუნებრივია, ახალი, ნამდვილად უხვი მასალებით დაადასტურა ეს განსაზღვრა და ახლა არავისთვის აღარ არის საეჭვო რკინის ხანის ასე ადრე დაწყება საქართველოსა და საერთოდ კავკასიაში. საინტერესოა სოციალური ისტორიის საკითხების პროფესიული გააზრებაც. კერძოდ, ზემოავექალის სამარხის დახასიათებისას აღნიშნულია, რომ 3400—3300 წლის წინ უკვე იქმნებოდა აქ ელემენტები საზოგადოების კლასობრივი დანაწილებისათვის, ალებმაცემობის განვითარებისათვის. ასე ადრე ჩანს ე. წ. ადრეკლასობრივი ურთიერთობის ჩანასახები საქართველოში გ. ნიორაძის აღმოჩენების მიხედვით.

მონოგრაფიაში „ალაზნის ველის გათხრები“ გიორგი ნიორაძემ გამოაქვეყნა ანტიკური ხანის ცნობილი კომპლექსის, ე. წ. იალოილუთაფას კულტურის მანამდე უცნობი ადგილობრივი კერის (არხილოსკალოს) არქეოლოგიური კვლევის შედეგები. მხარდაჭერას პოულობს ავტორის დასკვნა, რომ ალაზნის ველის კერამიკის მთავარი სახეობები წარმოშობით წინააზიიდან უნდა იყოს, მულანისა და მიღის ველებს მხრიდან ალაზნის ველამდე მიღწეული, ხოლო ამ კერამიკის მქონე ხალხს დიდი კავშირი ჰქონდა წინააზიის მცხოვრებლებთან. კერძოდ მცირე აზიასთან. გ. ნიორაძე მხარს უბამს ქართული ისტორიოგრაფიის დიდი წარმომადგენლების — ივანე ჯავახიშვილისა

და სიმონ ჯანაშიას — თვალსაზრისს. დამახასიათებელია, რომ ეს სიახლოვე და კონტაქტები გ. ნიორაძეს არ მიაჩნდა ყოველთვის ნიუთიერი კულტურისა და ხალხის მიგრაციის უტყუარ მანიშნებლად. წიგნის — „ალაზნის ველის გათხრები“ — გამოსვლის შემდეგ ცნობილი საბჭოთა მკვლევარი ე. კრუპნოვი გ. ნიორაძეს სწერდა:

«...Ялойлу-Тапинский комплекс интересовал многих археологов, но только Вам удалось полностью обработать имеющийся материал и ввести его в научный обиход археологов. Ваша книга встречена здесь очень тепло. До сих пор Ялойлу-Тапинская керамика отсутствовала в общих курсах археологии. По мнению товарищей, преподающих в ВУЗ-ах Москвы, после Вашей книги этот недостаток должен быть устранен и новая культура Закавказья должна быть введена в общий университетский курс археологии»...

ასეთივე ფართო გამოხმაურება გამოიწვია გ. ნიორაძის სხვა ნაშრომებმაც, კერძოდ: „ქარსნის ხევის სასაფლაო“, „ზემოავჭალის სამარე“, „მიცვალებულთა ჰაერზე დამარხვა“, „ქვემო სასირეთის განძი“, „ძველი ქუჩის ხანა კავკასიაში“, „არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში“, „დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება“, „ქვიშარის არქეოლოგიური ძეგლები“, „საკულტო დანიშნულების რკინის ფეხსაცმელი“, „ქვის ხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში“ და სხვ., რომლებმაც მაშინვე მიიქციეს მკვლევართა ყურადღება. სწორედ ამის გამო აღნიშნავდა აკად. ი. მეშჩანინოვი: „...Научные труды Г. К. Ниорадзе вошли в научный обиход как у нас во всем Союзе, так и за границей“.

ცნობილი ლექსიკოგრაფი პროფესორი ბროკჰაუზი მეცნიერულ მასალას კავკასიის შესახებ თავისი გამოცემისათვის გ. ნიორაძეს თხოვდა, რაც კარგად ჩანს წერილებში, რომლებიც გ. ნიორაძის პირად არქივში ინახება.

ბუნებრივი იყო, რომ ახალი ქართული არქეოლოგია საჭიროებდა ქართულ არქეოლოგიურ ტერმინოლოგიას. ამ დარგშიაც ყამრჩი გიორგი ნიორაძეს უნდა გაეტეხა და ახლა, სამოციოდე წლის შემდეგაც, მკაფიოდ ჩანს მისი ტერმინოლოგიური ძიების სიკეთეცა და სიმყარეც. გ. ნიორაძის ამ გეზის განვითარებას ნოჰყვა მისი გამოჩენილი მოწაფის გიორგი ლომთათიძის უადრესად საყურადღებო ტერმინოლოგიური გამოკვლევები და სხვათა შორის, დიდი „რუსულ-ქართული არქეოლოგიური ლექსიკონი“, ამ სახისა და დანიშნულების პირველი და ერთადერთი ნაშრომი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 1980 წელს გამოსცა გ. ნიორაძის მოწაფის ა. აფაქიძის რედაქციით.

- ქართული საბჭოთა არქეოლოგიის განვითარების უმთავრეს მიმართულებას ემსახურებოდა გიორგი ნიორაძის თვალსაჩინო სამუშეუმი მოღვაწეობაც. ჯერ კიდევ ბერლინის უნივერსიტეტში სწავლასთან ერთად გ. ნიორაძე ხალხმცოდნეობის მუზეუმში პრაქტიკულად ეუფლებოდა კატალოგების შედგენისა და საგამოფენო მუშაობის მეთოდებს, რასაც მისთვის ნიციემულ დახასიათებაში საგანგებოდ აღნიშნავს ამ მუზეუმის დირექტორი, უნივერსიტეტის პროფესორი ცნობილი მეცნიერი მაქს შმიდტი. ამავე გარემოებას საგანგებოდ გაუსვა ხაზი ივ. ჯავახიშვილმაც, როდესაც 1925 წელს საქართველოს მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს სახელზე დაწერილ სარეკომენდაციო ბარათში სასურველად მიიჩნია უცხოეთიდან ახლადდაბრუნებული დოქტორის გ. ნიორაძის არჩევა მუზეუმის არქეოლოგია-ეთნოგრაფიის განყოფილების გამგედ. საქმე წარმატებით წარიმართა, ხოლო 1934 წელს გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით მუზეუმში მოეწყო პირველი არქეოლოგიური გამოფენა: „წინაკლასობრივი საზოგადოება საქართველოში“. მოკვასწავებელი იმისა, რომ მისი ორგანიზატორები სრულიად ახლებურად, მარქსისტული პოზიციებიდან მიუდგხენ ხალხის ცხოვრების სხვადასხვა მონაკვეთის კვლევასა და ხივთიერი ძეგლებს ჩვენებას. სწორედ ამ გამოფენამ ჩაუყარა საფუძველი ფართო საექსპოზიციო მუშაობას საქართველოს მუზეუმში.

მოსწავლე ახალგაზრდობასა და მშრომელთა ფართო მასებში ახალი მეცნიერული მონაპოვრის, ცოდნის გავრცელებას ემსახურებოდა გ. ნიორაძის სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევები პირველყოფილი საზოგადოების ისტორიიდან („ძველი ქვის ხანის ადამიანები და მათი ცხოვრება“, „Памятники прошлого“, „მიიმუნიდან ადამიანები“, „ადამიანის წარმოშობა“, „ადამიანის უახლოესი წინაპრები“, „პირველყოფილი ჯოგი“, „ქვის ხანის ადამიანები, სინანთროპი და ჰაიდელბერგელი, ნეანდერტალელი, ზედაპალეოლითელი“ „მიკლუხო-მაკლაი და ქვის ხანის ადამიანები“ და სხვ.).

იმევე მიზანს ემსახურებოდა დიდი სამამულო ომის წლებში გ. ნიორაძის მიერ ქართულ და რუსულ ენებზე წაკითხული და გამოკვეყნებული რასისტული თეორიების უსაფუძვლობის მამხილებელი საჯარო ლექციები.

გ. ნიორაძის მეცნიერული დამსახურების, მისი მრავალრიცხოვანი გამოკვლევების სრული დახასიათება, ცხადია, აქ შეუძლებელია. ზემოაღნიშნული ზოგი ასპექტი ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ჩასახვა-განვითარების დიდი გზისა, გვიჩვენებს სპეციალური პროფესიული განათლების მქონე პირველი ქართველი არქეოლოგის მეცნიერულად შთამბეჭდავ სახეს, მის დიდ სახელს და განუშვორე-

ბელ როლს ქართველთმცოდნეობის ამ ფრიად მნიშვნელოვანი დარგის წარმოქმნა-დაწინაურებაში.

დიდი ამაგი დასდო გ. ნიორაძემ ქართულ საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებას არქეოლოგთა კადრების მომზადების მხრივაც. 20-იანი წლების შუახანებიდან გამოზრდილ ყველა ქართველ არქეოლოგს მიუღია მეცნიერული წრთობა გ. ნიორაძესთან ან იმ სამეცნიერო კერებში, სადაც იგი წარმართავდა არქეოლოგიურ კვლევადიებას.

გ. ნიორაძის დიდი მეცნიერული ღვაწლი ღირსეულად დაფასდა: 1944 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, ხოლო 1946 წელს იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1951 წლის 10 დეკემბერს შეწყდა მეცნიერის სიცოცხლე.

კომუნისტი მეცნიერის, დიდებული მამულიშვილისა და საყვარელი მოძღვრის, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის ფუძემდებლის შარავანდედით მოსილი შვეიდა გიორგი ყაფლანის ძე ნიორაძის სახელი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამის კიდევ ერთი მკაფიო მაჩვენებელი იყო გიორგი ნიორაძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-საზეიმო ღღეები 1986 წლის ოქტომბერ-დეკემბერში რომ გაიმართა თბილისსა, ქუთაისსა და მეცნიერის მშობლიურ სოფელში.

ანდრია აფაქიძე



## ГЕОРГИЙ НИОРАДЗЕ

(КРАТКИЙ ОБЗОР НАУЧНОЙ И ОБЩЕСТВЕННОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ)

Известный советский ученый и общественный деятель, основоположник новой грузинской археологии член-корреспондент Академии наук Грузинской ССР заслуженный деятель науки доктор исторических наук профессор Георгий Капланович Ниорадзе — первый грузинский профессиональный археолог был исследователем с широким образованием, чье научное наследие заслуживает особого внимания. Чем больше проходит времени, тем яснее становится многогранная деятельность ученого, основное направление его исследований, в частности чрезвычайный интерес к проблематике археологии, антропологии и этнологии.

Г. К. Ниорадзе родился 30 ноября (12 декабря) 1886 года в селе Шроша (бывший Шорапанский уезд), в семье крестьянина. Отец, Каплан Леванович Ниорадзе, был хорошим, трудолюбивым хозяином; мать, Анастасия Павловна Гвелесиани, добрая, внимательная женщина, отдававшая много ласки и тепла своей семье.

Начальное образование маленький Георгий получил в Двухгодичном нормальном училище.

Революция 1905 года застала его в Зестафони, где он принимал непосредственное участие в революционном движении: распространял нелегальную литературу, принимал активное участие в подготовке восстания. Во время судебного разбирательства дел реакционеров в зестафонском театре, Г. К. Ниорадзе выступил против помещика-чиновника Себикверадзе, уличая его в провокации. После того, как Алиханов-Аварский сжег Зестафони и реакция восторжествовала, Г. К. Ниорадзе был вынужден оставить Зестафони и перебраться в Тбилиси. 20-летний юноша продолжает учиться в Тбилисском учительском институте, который заканчивает в 1910 году. Одновременно он преподает в Воскресной школе. В этот период Г. К. Ниорадзе сблизился с рабочими кружками, вел среди них пропагандистско-просветительную работу. Как видно, революционная деятельность молодого интеллигента не осталась незамеченной царской охранкой, по указанию которой тбилисская жандармерия еще в 1909 году произвела тщательный

обыск на квартире Г. К. Ниорадзе, где и нашла литературу против царизма, в результате чего он был арестован.

Г. К. Ниорадзе с осени 1910 года до весны 1917 года работал педагогом в Кутанси. В то время он часто посещал тамошний народный университет, где параллельно с официальной педагогической деятельностью читал т. н. народные лекции, преподавал на вечерних курсах, предназначенных для взрослых. В пользу бедных учеников он провел лекций в Кутаисе, Батуме, Поты, Чиатурах и других городах Грузии. В то время Г. К. Ниорадзе читал также лекции на курсах по переподготовке учителей Кутаисского и Батумского районов. С большой ответственностью и вниманием относился он к делу просвещения грузинской молодежи. Г. К. Ниорадзе сдержал слово, которое он произнес в 1912 году на прощальном митинге Якоба Гогешашвили в г. Тифлисе на Верийском спуске (Сб. «В память Якоба Гогешашвили», 1913, с. 282). Примечательно, что в марте 1916 года в газете «Самшобло» («Родина») была напечатана публикация о прочитанных Георгием Ниорадзе лекциях в благотворительных целях. 29 марта того же года газета «Самшобло» извещала: «... в пятницу в 12 часов дня 25 марта в Кутаисе в городском театре был проведен юбилейный праздник, посвященный 30-летию деятельности известного детского писателя Шио Мгвимели. Первым к юбиляру с трогательными душевными словами обратился Георгий Ниорадзе...» Произнесенное им слово было опубликовано в газете «Самшобло» 27 марта 1916 года.

6 февраля 1915 года в газете «Самшобло» Георгий Ниорадзе публикует большую статью, в которой были отражены мысли и горечь всего грузинского народа, вызванные безмерной утратой — кончиной Акакия Церетели. Прощальное слово «Тайновидец народа», которое Георгий Ниорадзе произнес в Шоропани у гроба Акакия, печатается в газете «Самшобло» 21 февраля 1915 года.

С 1903 года в газетах «Иверия», «Эри», «Колхида», «Кутаисские вести» и др. Г. Ниорадзе публикует статьи и заметки разного характера под псевдонимами: «Шрошли Гого», Г. «Дзирулспирели», «Нора». Заслуживают внимания опубликованные в 1912—1915 годах в Тифлисе и Кутаисе в журналах и газетах его статьи и очерки: «Якоб Гогешашвили», «Педагогические идеалы Якоба Гогешашвили», «Ян Гус», «Эстетическое и воспитательное значение поэзии Акакия Церетели», «Педагогические письма», «Шио Мгвимели» и др., в которых освещалась творческая деятельность многих выдающихся грузинских, русских и зарубежных писателей и деятелей педагогики.

В 1917 году Георгий Ниорадзе становится студентом естественного отделения физико-математического факультета Московского университета по специальности антропология. Почти на протяжении всей гражданской войны, когда молодая Советская Россия переживала острый кризис в педагогах, Георгий Ниорадзе параллельно с учебой в университете работает преподавателем в Московской 113-й трудовой школе. В 1918 году городской Совет рабочих депутатов г. Москвы внес его имя в список лучших преподавателей города.

В Москве Г. К. Ниорадзе был активным членом грузинского научного общества. В кабинете истории Грузии Тбилисского государственного университета хранится поздравительное письмо, подписанное председателем грузинского научного общества Г. Гамбарашвили и его секретарем Г. Ниорадзе, которое 7 июля 1918 года Московское грузинское научное общество послало на имя основателей Тбилисского университета.

В 1919 году Грузинское научное общество в Московском университете устроило вечер, посвященный памяти Акакия Церетели, на котором в первый раз на грузинском языке вступительное слово об Акакии и лекцию «Происхождение человека и его предки» прочитал Георгий Ниорадзе.

В 1921 году, по предложению известного революционера Мухоморова, Георгий Ниорадзе в Москве организовал Грузинскую новую светскую колонию грузинской молодежи, составил устав для этой колонии и время от времени читал там лекции.

В формировании научного мышления Г. Ниорадзе большую роль сыграли известные профессора В. В. Бунак и Д. М. Анучин. Так, в 1919 году Георгий Ниорадзе под руководством В. В. Бунака провел антропологические исследования московских школьников и представителей некоторых слоев городского населения, а в 1920—1922 годах под руководством профессоров Д. М. Анучина и Б. Жукова — археологические раскопки в окрестностях города Москвы, что, вероятно, сыграло определенную роль в становлении Г. Ниорадзе как археолога.

В 1921 году Георгий Ниорадзе окончил Московский университет. Показав великолепные знания по всем предметам, которые ему пришлось сдавать, а также за дипломную работу он получает высшую оценку. Его оставляют в университете при кафедре антропологии для подготовки к профессорской деятельности.

В 1922 году Георгий Ниорадзе научный сотрудник Тбилисского университета. В том же году он избирается членом Московского общества любителей природы.

В 1922 году Георгий Ниорадзе уедет в научную командировку в Германию, где продолжает свои занятия сначала в

Берлинском университете под руководством проф. Феликса фон Лушана, а после его смерти, с мая 1924 года, — в Гамбургском университете под руководством известного профессора Тиле-ниуса.

В Германии Георгий Ниорадзе слушал лекции и специальные курсы известных немецких ученых профессоров: Фриден-таля, Равитца, Сессойра, Шмидта, Рехе, Данцеля, Гюриха, Деихнера, Ломана и др. Научное направление Гамбургской школы, которое известно под названием «культурная антропология» (этнография, археология, антропология), как видно, и определило дальнейшую деятельность Георгия Ниорадзе.

В 1923 году, во время пребывания в Германии, Георгий Ниорадзе избирается действительным членом Берлинского общества антропологии, этнографии и преистории, в работе которого он активно участвовал и после возвращения на родину. В том же году Георгий Ниорадзе принял участие в Международном антропологическом конгрессе в Тюбингене, где прочел доклад: „Russische Anthropologie und ihre Entwicklung“ („Антропология России и ее развитие“, см. *Tagungsberichte der Deutschen Anthropologischen Gesellschaft*, s. 14. 1926).

Этот факт свидетельствует о его признании видными учеными Советской России Д. М. Анучиным, В. В. Бунаком и др. вполне подготовленным специалистом. На этом же конгрессе Георгий Ниорадзе сделал и второй доклад о названии кавказской расы. О Тюбингенском конгрессе Г. Ниорадзе в письме от 15 августа 1923 года на имя проф. Иванэ Александровича Джавахишвили писал: «Председатель конгресса Вирхов выступил по поводу моего доклада, произнес большую речь, объявил благодарность мне и выразил желание иметь тесную связь с немецкими учеными и работать вместе с ними».

В 1923 году Георгий Ниорадзе по случаю смерти своего учителя проф. Д. М. Анучина пишет статью: „Anutschins Leben und Wirken“ („Жизнь и деятельность Анучина“), которая была напечатана в журнале „Zeitschrift für Ethnologie“ („Журнал по этнологии“). Этим благодарный ученик в какой-то мере отдал дань своему учителю.

В 1923 году Георгий Ниорадзе в Берлине публикует монографию—„Die Berg-Ossen und ihr Land“ („Горные осетины и их страна“).

В Германии Г. Ниорадзе систематически работает также в музеях Берлина и Гамбурга, принимает участие в археологических раскопках под руководством профессора Макса Шмидта.

В 1924 году Г. Ниорадзе в Гамбургском университете успешно сдал докторские экзамены и защитил диссертацию на тему: „Der Schamanismus bei den sibirischen Völkern“ („Шама-

низм у народов Сибири»), которая в следующем году была напечатана отдельной книгой в г. Штутгарте. В документе, выданном в 1924 году философским факультетом Гамбургского университета Георгию Ниорадзе, было написано:

«В период ректорства доктора юриспруденции и общественно-политической науки, ординарного, общественного профессора правосудия Рудольфа Лауна и в период деканства доктора философии ординарного, общественного профессора культуры и истории Индии Вальтера Шубринга философским Факультетом

грузинскому господину Георгию Ниорадзе

1 ноября 1924 года, защитившему свой весьма похвальный труд «Шаманизм у народов Сибири», дается свидетельство, утверждающее о превосходном научном таланте и образовании, и присваивается звание

доктора Ф И Л О С О Ф И И,

в подтверждение чего выдан этот документ с печатью факультета и подписанный деканом.

Гамбург, 15 ноября, 1924 год

Декан Шубринг».

Пребывание Г. Ниорадзе в Германии было не только периодом глубокого освоения науки. Это были годы жестокой нужды и мучительных страданий, о чем свидетельствуют письма, хранящиеся в архиве И. А. Джавахишвили (Институт рукописей им. К. С. Кекелидзе АН Грузинской ССР, ф. № 2095—2097, 2100—2104), которые Георгий Ниорадзе систематически присылал ему из Германии. Из писем последних лет становится ясным, что Г. Ниорадзе, несмотря на большое желание, за неимением средств не мог вернуться на родину. И. А. Джавахишвили оказывает большую помощь Г. К. Ниорадзе. При содействии Музей Грузии посылает ему определенную сумму для возвращения на родину. В 1925 году 7 мая И. А. Джавахишвили пишет Г. К. Ниорадзе: «Чем скорее Вы вернетесь на родину, тем лучше для нас».

